სოციალური ეკონომიკა და სოციალური მეწარმეობა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი CSRDG

ავტორი:
გიგა ჩიტიშვილი

რედაქტორი
ეკა დათუაშვილი

სასწავლო სახელმძღვანელოს მიმდინარე თავი მომზადდა სოციალური მეწარმეობის მიმართულებით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დანერგილი სასწავლო კურსებისთვის.

1.1. სოციალური ეკონომიკა

სოციალური ეკონომიკა, როგორც ტერმინი პირველად საფრანგეთში, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გაჟღერდა, თუმცა მალევე გასცდა საფრანგეთის საზღვრებს.

ევროპული ქვეყნების ისტორია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აქტიურად უკავშირდება საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული ეკონომიკური და სოციალური სისტემების აშენებას ევროპის სახელმწიფოებში. ამ პროცესის განუყოფელი ნაწილი კი სწორედ ისეთი ეკონომიკური და სოციალური მოდელების დანერგვა და პრაქტიკაში გატარებაა, რომელიც უზრუნველყოფს სოლიდარობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმირებას.

თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყანა აწყდება სოციალურ თუ ეკონომიკურ გამოწვევებს, რამაც დღის წესრიგში სოციალური ეკონომიკის მნიშვნელობა აქტიურად დააყენა. დღეს, სოციალური ეკონომიკა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად განიმარტება, თუმცა, კონცეფციის არსი საერთოა ყველასთვის და, შესაძლოა ითქვას, მას საფუძვლად უდევს სოლიდარობის პრინციპებზე დაფუძნებული საქმიანობების წარმოება სხვადასხვა იურიდიული პირების მიერ. არსებობს სოციალური ეკონომიკის ნორმატიული და იურიდიული გაგება. კონცეფციის **ნორმატიული გაგება** მის ისეთ მახასიათებლებზე მიანიშნებს, როგორებიცაა:

1. სერვისის ორიენტირებულობა მის მიმღებებზე ან საზოგადოებრივი თემის უპირატესობა მოგების მიღების მიზანზე;
2. ავტონომიურობა;
3. დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება;
4. შემოსავლების განაწილების პროცესში ადამიანებისა და საქმის უპირატესობა კაპიტალზე. (OECD, 2013, 16).

სოციალური ეკონომიკა ორ განზომილებას აერთიანებს, ეს არის ეკონომიკა და სოციალური კეთილდღეობა.

ეკონომიკური განზომილება თავის თავში მოიაზრებს ისეთ ეკონომიკურ აქტივობებს, როგორებიცაა პროდუქციის წარმოებას, მის დისტრიბუციას და სერვისის მიწოდებას, ხოლო სოციალური განზომილება საზოგადოების მცირე ან ფართო ჯგუფების კეთილდღეობის ზრდას. შესაბამისად, სოციალური ეკონომიკა შეიძლება მოვიაზროთ, როგორც კონცეფციად, რომელიც აერთიანებს განსხვავებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებს, როგორებიცაა კოოპერატივები, ასოციაციები, ფონდები, სოციალური საწარმოები და სხვა კონკრეტული ქვეყნის კონტექსტის იურიდიული სუბიექტები. ამ ორგანიზაციებისა და საწარმოების მთავრი არსი ხალხისა და სოციალური მიზნების პრიორიტეტიზაციაა, რომელიც ეფუძნება დემოკრატიულ მმართველობას, სოლიდარობისა და მოგების რეინვესტირების პრინციპებს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

ეკონომიკის ფუნქციონირების ტრადიციული გაგება ეფუძნება შეხედულებას, რომ აქტივობის წარმატებულობა იზომება მხოლოდ მოგების ზრდის შესაძლებლობით. სოციალურ ეკონომიკის ეფექტიანობა კი იზომება საზოგადოების წევრების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებით. შესაბამისად, პრინციპი „მოგება ყველაფრის ფასად (profits at any cost)“, რომელიც ტრადიციულ ეკონომიკაში წამყვანია, სოციალური ეკონომიკის შემთხვევაში ტრანსფორმირდება „ადამიანის კეთილდღეობა ყველაფრის ფასად (person at any cost)“.

დიაგრამა 1: სოციალური ეკონომიკის განზომილებები



რაც შეეხება კონცეფციის **იურიდიულ გაგებას**, ის უკავშირდება უშუალოდ იმ იურიდიული პირის, ანუ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განმარტებას, რომელზეც ვაკეთებთ აქცენტს სოციალურ ეკონომიკაზე საუბრისას. ევროპის სახელმწიფოებში, სოციალური ეკონომიკის აქტორებად ძირითადად შემდეგი იურიდიული ფორმა განიხილება, ესენია: კოოპერატივები, ასოციაციები, ორმხრივი თანამშრომლობის ორგანიზაციები, საზოგადოებრივი, იგივე არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები, სოციალური საწარმოები და სხვა.

საქართველოში ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან გვხვდება კოოპერატივები, ასოციაციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, იგივე არაკომერციული (არამომგებიანი) იურიდიული პირები (ა(ა)იპ-ები) და ფონდები.

საერთაშორისო შრომითი ორგანიზაცია (ILO) სოციალურ ეკონომიკას განსაზღვრავს, როგორც:

> *„კონცეფციას, რომელიც უკავშირდება საწარმოებს და ორგანიზაციებს, კერძოდ, კოოპერატივებს, ორმხრივი თანამშრომლობის ორგანიზაციებს, ასოციაციებს, ფონდებს და სოციალურ საწარმოებს, რომლებიც სოლიდარობის პრინციპებზე დაყრდნობით აწარმოებენ სპეციფიკურ პროდუქტს ან სერვისს ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად“.* (2013, 16).

სოციალური ეკონომიკა აერთიანებს განსხვავებულ საქმიანობებს, რომლის მიზანიც საზოგადოების ჯგუფის წევრებისთვის სხვადასხვა შესაძლებლობებზე წვდომის გაზრდასა და ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. შესაბამისად, საქმიანობების სპექტრი შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან და მოიცავდეს როგორც მსხვილ ინფრასტრუქტურულ აქტივობებს (წყლის და ენერგო-პროექტები, სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესება, საფოსტო მომსახურების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ნარჩენების მართვის სისტემების დანერგვა და განვითარება, ა.შ.), ისე ჯანდაცვის, განათლების, სახელმწიფო ზრუნვის და სოციალურ სერვისებს.

სოციალური ეკონომიკის ორგანიზაციები ემსახურებიან როგორც ეკონომიკურ, ისე საზოგადოებრივ მიზნებს, რაც, ერთი მხრივ, მოიცავს საქონლისა და სერვისის მიწოდებას (მათ შორის ინკლუზიური დასაქმების შესაძლებლობებს) საზოგადოებისთვის, მეორე მხრივ კი საზოგადოებრივი მიზნების მიღწევას (ანუ საქმიანობას, რომელსაც სარგებელი მოაქვს

ზოგადად საზოგადოებისთვის). ამ ტიპის საქმიანობები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობაში, ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების, სოციალური ინკლუზიის, ეკონომიკური ზრდისა და გარემოს დაცვის თვალსაზრისით. შედეგად კი მიიღწევა ევროპული ღირებულებები ადამიანის ძირითადი უფლებების დაცულობისა და ღირსეული ცხოვრების შესახებ, რაც უმნიშვნელოვანეს ფაქტორად განიხილება ევროპელი მოქალაქეებისთვის (European Commission. 2013, 4:21).

სოციალური ეკონომიკის განსხვავებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები შეგვიძლია უფრო დეტალურადაც განვიხილოთ.

კოოპერატივები

კოოპერატივი (Cooperative) არის ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა, რომელიც ეფუძნება ადამიანთა გაერთიანების იდეას საერთო ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული მიზნების შესასრულებლად. უფრო კონკრეტულად, კოოპერატივის წევრთა შრომითი საქმიანობის მეშვეობით შემოსავლის ზრდის მიზნით შექმნილ საზოგადოებას, რომლის მთავარი ამოცანა წევრთა საჭიროებების დაკმაყოფილებაა. ზოგიერთ ქვეყანაში, ისე როგორც საქართველოში, კოოპერატივის წევრობა საწევრო გადასახადის გადახდასაც გულისხმობს. კოოპერატივები ხასიათდებიან დემოკრატიული მმართველობით, ანუ ის იმართება საერთო კრებით, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება წევრთა ხმათა უმრავლესობით. კოოპერატივის თითოეულ წევრს ერთი ხმის უფლება აქვს იმისდა მიუხედავად, თუ შენატანების რა წილის მფლობელია. მოგების შემთხვევაში კი წლის მოგება უნაწილდებათ წევრებს მათ მიერ კოოპერატივში შენატანის პროპორციულად.

ევროპის ქვეყნებში კოოპერატივები ხშირად სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის დასაძლევად იქმნებიან. ისტორიული კუთხით, კოოპერატივის პირველი პრეცენდენტი 1844 წელს შეიქმნა ლანკაშირში (ბრიტანეთი), სადაც 28 მუშაკი გაერთიანდა არსებული სოციალური გამოწვევების და სიდუხჭირის წინააღმდეგ. მათ შექმნეს კოოპერაციული საზოგადოება „The Rochdale Equitable Pioneers Society“ და გახსნეს მაღაზია სადაც ბითუმად ჰყიდდნენ საკვებს, საქმიანობა კი მიმართული იყო როგორც მომხმარებლების, ისე მეწარმეების და მფლობელების კეთილდღეობაზე. მაღაზიიდან მიღებული მოგება ნაწილდებოდა მფლობელებზე მათი შენატანის პროპორციულად, თუმცა, გადაწყვეტილებები მიიღებოდა “ერთი ინდივიდი ერთი ხმის” პრინციპით და არ ეფუძნებოდა კაპიტალის ფლობას კოოპერატივში. რაც შეეხება კოოპერატივის ღირებულებებს, ის ეფუძნებოდა: მოხალისეობრივ და ღია წევრობის პრინციპს, დემოკრატიულ მმართველობას, მოგების განაწილებას მფლობელებზე და საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას წევრებისა და მუშაკებისთვის (Holyoake 1893). კოოპერატივების მიმართულება გაცილებით გამრავალფეროვნდა შემდგომ წლებში. ახლა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს:

- საწარმოო კოოპერატივები;
- სამომხმარებლო კოოპერატივები;
- მუშაკთა კოოპერატივები;
- საბინაო კოოპერატივები;
- ფინანსური კოოპერატივები;

- არაკომერციული საზოგადოებრივი სერვისების კოოპერატივები და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კოოპერატივების ფოკუსი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ლანკაშირის კოოპერატივის პირველი პრეცენდენტი საფუძვლად დაედო ზოგადად ამ ტიპის იურიდიული ფორმის ძირითად მახასიათებლებს, მმართველობის ფორმას და მოგების გადანაწილების მიდგომებს.

ორმხრივი თანამშრომლობის ორგანიზაციები

ორმხრივი თანამშრომლობის ორგანიზაცია (mutual organization), ან ე.წ. ორმხრივი მხარდაჭერის საზოგადოება (mutual aid society) განისაზღვრება საწევრო ორგანიზაციად, რომელიც სადაზღვევო სერვისებს აწოდებს მის წევრებს.

ამ ტიპის ორგანიზაციები, ისტორიულად, უზრუნველყოფდნენ დაზღვევას სამუშაოსგან გამოწვეული შეზღუდულობის შემთხვევაში, მაგალითად მუშაკის ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში, რაც მის შრომისუნარიანობას დააყენებდა საფრთხის ქვეშ, ან, ავადმყოფობის შემთხვევაში. ორმხრივი თანამშრომლობის ორგანიზაციების მაგალითები მე-19 საუკუნიდან გვხვდება და ეს იურიდიული ფორმა განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთ ქვეყნებში, სადაც სოციალური დაზღვევის სისტემა ან არ არის განვითარებული, განვითარების საწყის ეტაპზეა ან საზოგადოების მხოლოდ ძალიან შეზღუდულ ნაწილს ფარავს. ევროპის ბევრ სახელმწიფოში, ამ ტიპის ორგანიზაციების როლს სახელმწიფო ითავსებს არსებული მხარდაჭერის პროგრამების მეშვეობით და აზღვევს ისეთ მოსალოდნელ რისკებს, როგორებიცაა ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებული შრომის რისკები, გარდაცვალება, დაკრძალვა, ან, სულაც მოსავლის ვერ-მიღება გარემო ფაქტორების გამო და ა.შ.

აქვე, აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის იურიდიული ფორმა არ მოიძებნება საქართველოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამონათვალში.

ასოციაციები

ასოციაცია წარმოადგენს იურიდიულ ფორმას, რომელიც დაინტერესებულ პირებს აერთიანებს კულტურული, რეკრეაციული, სოციალური თუ ეკონომიკური საკითხების გარშემო და აძლევს ამ გაერთიანებას ორგანიზაციულ სახეს. ამ ტიპის გაერთიანებები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლოა წარმოადგენდნენ როგორც რეგისტრირებულ, ლეგალურ სუბიექტებს, ისე დაურეგისტრირებელ საინიციატივო ჯგუფებს.

შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულად ასოციაციები წარმოადგენენ ადამიანთა იდეის გარშემო გაერთიანების ყველაზე ძველ ფორმას. საქართველოში ამ ტიპის ორგანიზაციები რეგისტრირდებიან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ა(ა)იპ) ფორმით.

ფონდები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები

ფონდები წარმოადგენენ სპეციალიზირებულ იურიდიულ ფორმას, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოების კონკრეტული ან ფართო ჯგუფისთვის სპეციალურ საკითხებში მხარდაჭერას სისტემატიზირებული დაფინანსების მეშვეობით. როგორც წესი, ფონდები ემსახურებიან სოციალურ, საზოგადოებრივ, რელიგიურ, გარემოსდაცვით ან სხვა მსგავსი სახის ინტერესების მხარდაჭერას, რასაც ფონდის დამაარსებლები იზიარებენ. ზოგიერთ შემთხვევაში ფონდების იურიდიული ფორმის განსაზღვრა დამოკიდებულია ქვეყნის

კონტექსტზე, მაგალითად, საქართველოში არ არსებობს ფონდის ცალკე გამოყოფილი იურიდიული ფორმა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს (ა(ა)იპ) შეუძლიათ შეითავსონ საფონდო საქმიანობა.

ა(ა)იპ-ები შინაარსობრივად და არსებითად საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, რომელებიც კომერციული სუბიექტებისგან განსხვავდებიან საქმიანობის მიზნით, რომელიც არ არის საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მოგების მიღება და მისი განაწილება მფლობელებში თუ მეწილეებში. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დარეგისტრირებულ ა(ა)იპ-ებს აქვთ დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის წარმოების უფლება და ამ საქმიანობიდან მიღებული მოგების შემთხვევაში ის მთლიანად უნდა მოხმარდეს ორგანიზაციის მისიის მიღწევას, ორგანიზაციულ განვითარებას ან, ზოგადად, მის საქმიანობას. კომერციული საქმიანობა განიხილება დაფინანსების წყაროდ, დამატებით შემოსავლად, რომელიც უნდა მოემსახუროს ა(ა)იპ-ის მიზნებს (Ostapenko 2022, 13).

სოციალური საწარმოები

სოციალური საწარმოები და ზოგადად სოციალური მეწარმეობა წინამდებარე სახელმძღვანელოს შესწავლის მთავარი საგანია. შესაბამისად, სახელმძღვანელოს შემდგომ თავებში აქტიურად ვისაუბრებთ სოციალური საწარმოს არსზე და მისი ფორმირების მექანიზმებზე.

სოციალური საწარმო წინამდებარე სახელმძღვანელოში გააზრებულია, როგორც ორგანიზაცია ან საწარმო, რომელიც იქმნება სოციალური ან გარემოსდაცვითი გამოწვევის გადაწყვეტისთვის და ამ პროცესში იყენებს ბიზნეს მიდგომებს. სოციალური საწარმოები აუმჯობესებენ მათ ეკონომიკურ ოპერაციებს და მიწოდების ჯაჭვს, რათა მაქსიმალურად გაზარდონ სოციალური გავლენა და შეამცირონ გამოყენებული რესურსები. ისინი უზრუნველყონ მდგრად ზრდას განმეორებადი და მასშტაბირებადი ბიზნეს მოდელის დანერგვით (Chahine 2016, 2).

კითხვები თვითგამეორებისთვის:

- როგორ შეიძლება განვმარტოთ სოციალური ეკონომიკის კონცეფცია?
- რას მოიაზრებს სოციალური ეკონომიკის კონცეფციის ნორმატიული გაგება?
- რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებით შეიძლება განხორციელდეს სოციალური ეკონომიკის კონცეფცია პრაქტიკაში?
- რომელი იურიდიული ფორმა არ გვხვდება საქართველოს კონტექსტში სოციალური ეკონომიკის იურიდიული გაგებიდან?

1.2. სოციალური მეწარმეობა

სოციალური მეწარმეობა სოციალური ეკონომიკის ნაწილია. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემა თავსებადია სოციალურ ეკონომიკასთან. აქედან გამომდინარე, ხშირად, სოციალური ეკონომიკის ხელშესაწყობად დანერგილი სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები ვრცელდება სოციალური მეწარმეობის სექტორზეც. სოციალური მეწარმეობა სულ უფრო და უფრო ასოცირდება ბიზნესის

„ახლებური გზით“ კეთებასთან, რაც გულისხმობს კონკრეტული სოციალური მიზნების მისაღწევად ბიზნესების შექმნას და მათ განვითარებას.

სოციალური მეწარმეობის სექტორის აქტიური განვითარება 90-იანი წლებიდან იწყება, თუმცა, სოციალური საწარმოების ცალკეულ მაგალითებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ვხვდებით.

სოციალური მეწარმეობის კონცეფცია თანხვედრაშია ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობის პრინციპთან, და, პარალელურად ორიენტირებულია ინდივიდის კეთილდღეობაზე. შესაბამისად, სოციალური საწარმო არის დამოუკიდებელი ბიზნეს ერთეული, რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული სოციალური მისია.

კონცეფციის გაგების ერთიანი სისტემა და განმარტება არ არსებობს. ეს გამოწვეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოებით, როგორებიცაა:

- **განსხვავებული პერსპექტივები**
  სოციალური მეწარმეობა კვეთაშია განსხვავებულ დისციპლინებთან, როგორებიცაა ბიზნესი, სოციალური სექტორი, ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა, შესაბამისად, სხვადასხვა მკვლევარი და პრაქტიკოსი განსხვავებულად უკეთებს კონცეფციას ინტერპრეტირებას.
- **კონტექსტი**
  სოციალური მეწარმეობა დამოკიდებულია კონკრეტულ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტზე. შესაბამისად, განსხვავებულია ის გამოწვევები, რასაც სოციალურმა მეწარმეობამ სხვადასხვა კონტექსტში უნდა უპასუხოს. კონტექსტის განსაკუთრებული ნაწილია კულტურული და ფილოსოფიური განსხვავებები ერებს შორის. შესაბამისად, კონცეფციის განვითარება კონკრეტულ საზოგადოებაში უკვე დამკვიდრებული ღირებულებების და ხედვების პარალელურად ხდება, რაც გავლენას ახდენს სოციალური მეწარმეობის აღქმაზე განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყნებში.
- **კონცეფციის აქტუალობა**
  სოციალური მეწარმეობა შედარებით ახალგაზრდა კონცეფციაა, შესაბამისად, მისი აკადემიური და პრაქტიკული კვლევის პროცესი ამ დრომდე აქტიურად მიმდინარეობს, რაც იწვევს განსხვავებული შეხედულებების გაჩენას და კონცეფციის განვითარების სხვადასხვა რეკომენდაციების განვითარებას.

მიუხედავად განსხვავებული განმარტებების არსებობისა, თითოეულ მათგანს ერთმანეთთან აკავშირებს კონცეფციის ძირითადი არსი და ღირებულება, რომელიც გულისხმობს ბიზნესმიდგომას სოციალური მიზნების მისაღწევად.

განმარტებების მსგავსებისა და განსხვავებების წარმოსაჩენად რეკომენდირებულია გავეცნოთ რამდენიმე წამყვანი სახელმწიფოსა და ორგანიზაციის განმარტებას.

სოციალური მეწარმეობის განმარტებები

სოციალური საწარმო არის ბიზნესი, რომლის უპირველესი მიზანიც სოციალური ხასიათისაა და რომელიც ახდენს მოგების რეინვესტირებას თემში ან ბიზნესში ამ სოციალური მიზნების მისაღწევად. მისი მამოძრავებელი არ არის მოგების ზრდა მეწილეებისა და მფლობელებისათვის.

ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტი. დიდი ბრიტანეთი

ორგანიზაცია ან საწარმო, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან სახელმწიფო პროგრამის სოციალურ მისიას ახორციელებს სამეწარმეო, შემოსავლის მომტანი სტრატეგიებით.

სოციალური საწარმოების ალიანსი აშშ

სოციალური საწარმო არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ბიზნესი, რომლიც შემოსავლის მიღების მიზნით აწარმოებს და ყიდის პროდუქტს ან სერვისს. მიღებული შემოსავალი გამოიყენება სოციალური, კულტურული და/ან გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის სოციალური საწარმო არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება მათ მისიის მიღწევაში და წვლილი შეაქვს ჯანსაღი საზოგადოების შექმნაში.

Social Enterprise Council of Canada

„სოციალური მეწარმეები არიან პირები, რომლებსაც გააჩნიათ ინოვაციური მიდგომები საზოგადოების ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტისთვის. ისინი არიან ამბიციურები და შეუპოვარნი, ენერგიულად ეძებენ გამოსავალს სოციალური საკითხების გადასაჭრელად და გვთავაზობენ ახალ იდეებს ფართომასშტაბიანი ცვლილებებისთვის“

აშოკა, www.ashoka.org

სოციალური საწარმო წარმოადგენს ბიზნეს პრინციპებზე აგებულ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური მიზანი და სხვადასხვა ქვეყანაში გააჩნია სხვადასხვა იურიდიული ფორმა.

(ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია - OECD)

"სოციალური მეწარმეების მამოძრავებელი ძალა არის ღირებულებები: ღირსება, შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, კაპიტალის ფლობა და გაძლიერების ხელშეწყობა. ისინი არიან შეპყრობილები სოციალური პრობლემების გადაწყვეტის სურვილით და მათი საქმიანობის გაფართოებასთან ერთად, წინა პლანზე ინარჩუნებენ სოციალური მისიის შესრულების აუცილებლობას"

შვაბის ფონდი, www.schwabfound.org

სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის შესაბამისი ეკოსისტემის ფორმირების მიხედვით მსოფლიოში განსაკუთრებით გამოირჩევა ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და ბრიტანეთი (Myers 2016). სოციალური მეწარმეობის მიმართულებით განვითარებული ინფრასტრუქტურით გამოირჩევიან ასევე იტალია, გერმანია, ნიდერლანდები, ინდოეთი და შვედეთი.

სოციალური საწარმოს კრიტერიუმები

ევროკავშირის მხრიდან სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად პირველი მასშტაბური ნაბიჯი 1996-99 წლებში გადაიდგა, რომლის მიზანიც მის 15 წევრ სახელმწიფოში ფართომასშტაბიანი კვლევის საშუალებით კონცეფციის შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ჩამოყალიბება იყო (Defourny 2014, 9–10). საკითხის მოკვლევა „ევროპის თემატურმა კავშირმა - European Themathic Network - დაიწყო, რომელიც შემდგომ ტრანსფორმირდა „ევროპული კვლევით ქსელად - European Research Nework – EMES". ქსელის მიერ შემუშავდა „სოციალური საწარმოს კრიტერიუმები", რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ბიზნესპრინციპებით მოქმედი ორგანიზაცია, მას რომ სოციალური საწარმო ეწოდოს.

კრიტერიუმები სამ განზომილებად არის დაყოფილი: ეკონომიკური, სოციალური და მონაწილეობითი მმართველობა. აუცილებელი არ არის, რომ სოციალური საწარმო აკმაყოფილებდეს ცხრავე კრიტერიუმს, თუმცა ეს არის შეფასების ერთგვარი ინსტრუმენტი სოციალური საწარმოებისთვის.

დიაგრამა 2: სოციალური საწარმოს განზომილებები



ეკონომიკური განზომილება/კრიტერიუმები:

- ***საქონლის ან მომსახურების უწყვეტი წარმოება***
  სოციალური საწარმოს მთავარი საქმიანობა, ტრადიციული არასამთავრობო ორგანიზაციისგან განსხვავებით, არის გარკვეული პროდუქტის წარმოება ან სერვისის მიწოდება უწყვეტად. ეს არის სოციალური საწარმოს არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი.
  მიჩნეულია, რომ სოციალური საწარმოს შემოსავლის მინიმუმ 50% უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეკონომიკური აქტივობით ("Social Enterprise: Market Trends" 2017, 7).
- ***ეკონომიკური რისკის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი***
  სოციალური საწარმოს დამაარსებლები სრულად ან ნაწილობრივ თავიანთ თავზე იღებენ გარკვეულ რისკს. სახელმწიფო ინსტიტუციებისგან განსხვავებით, სოციალურ საწარმოთა ფინანსური მდგრადობა დამოკიდებულია მათი წევრების და დასაქმებულების ძალისხმევაზე, რომ შესაბამისად დაიცვან და გამოიყენონ რესურსები საწარმოს წარმატებისთვის.
- ***ანაზღაურებადი საქმიანობა***
  საზოგადოებრივი ორგანიზაციების მსგავსად, სოციალური საწარმოც ახდენს ფულადი და არაფულადი რესურსების, ასევე ანაზღაურებადი პერსონალის და მოხალისეების რესურსების კომბინირებას. თუმცა, სოციალური საწარმოს ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია, რომ საწარმოში არსებობდეს ანაზღაურებადი თანამშრომლების მცირე ჯგუფი მაინც.

სოციალური განზომილება/კრიტერიუმები:

- ***გამოკვეთილი მიზანი, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების კეთილდღეობაზე***
  სოციალური საწარმოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ემსახუროს საზოგადოებას ან კონკრეტულ სამიზნე ჯგუფს, რომელსაც აქვს კონკრეტული საზოგადოებრივი საჭიროებები და არ ემსახურებოდეს გარკვეული ინდივიდების პირად ინტერესებს.

- ***ინიციატივა წამოწყებულია მოქალაქეთა ჯგუფის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ***
  სოციალური საწარმოს შექმნა არის კონკრეტული ინტერესთა ჯგუფების ძალისხმევის შედეგი. ამ სამიზნე ჯგუფის წევრებს გააზრებული აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული საჭიროება ან მიზანი. სათემო სულისკვეთება საჭიროა შენარჩუნდეს სოციალურ საწარმოში, თუმცა, კონკრეტული პირების ლიდერული სულისკვეთებაც არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი.
- ***მოგების შეზღუდული განაწილება***
  სოციალური საწარმოების კონცეფცია მოიცავს ორგანიზაციებს, რომლებიც სრულიად გამორიცხავენ მოგების განაწილებას მეწილეებზე და ასევე ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც შეზღუდული რაოდენობის მოგების განაწილებას მეწილეებზე დასაშვებად მიიჩნევენ, თუმცა, ორივე ტიპის ორგანიზაციებში მეწილეების და მფლობელების პირადი მოგების მაქსიმიზაცია გამოირიცხება. ასეთი ორგანიზაციების მაგალითია ევროპაში ფართოდ გავრცელებული კოოპერატივები.

მონაწილეობითი მმართველობის განზომილება/კრიტერიუმები:

- ***ავტონომიის მაღალი ხარისხი***
  სოციალური საწარმოები იქმნება მოქალაქეთა ჯგუფების მიერ, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჯგუფის წევრები არიან ჩართულები. მაგალითად, სოციალური საწარმო შეიძლება დამოკიდებული იყოს სახელმწიფო სუბსიდიებზე, თუმცა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ვერც სახელმწიფო ინსტიტუცია თუ ვერც გარეშე ძალა ვერ ერთვება. საინიციატივო ჯგუფი იღებს სოციალური საწარმოს როგორც დაარსების, ისე დახურვის თუ ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილებას.
- ***გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება არ ეფუძნება კაპიტალის მფლობელობას***
  პრინციპი ეფუძნება „ერთი წევრი - ერთი ხმა“ მიდგომას. გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება მმართველ რგოლში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს, არ არის განაწილებული კაპიტალის მფლობელობის შესაბამისად.
- ***მონაწილეობითი გარემო, რაც უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთა მაღალ ჩართულობას***
  გადაწყვეტილების მიღების პროცესში მომხმარებელთა, ბენეფიციართა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობის დონე ქმნის მონაწილეობით გარემოს, რაც სოციალური საწარმოს მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ხშირად, სოციალური საწარმოების ერთ-ერთი მიზანი მეწარმეობის გზით ადგილობრივ დონეზე ჩართულობის დონის ზრდის უზრუნველყოფაა.

სოციალური საწარმოს როლები

ქვეყნებში, სადაც გავნითარებულია სოციალური მეწარმეობა, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. სოციალური მეწარმეობა საზოგადოებრივი პრობლემების ახლებური გადაწყვეტის მეთოდია. სოციალური საწარმოს ზოგადი როლი საზოგადოებაში გარკვეული სოციალური ან გარემოსდაცვითი პრობლემის გადაწყვეტაა. რაც შეეხება უფრო კონკრეტულ სფეროებს, სადაც სოციალურმა საწარმომ შესაძლოა შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი, ესენია:

- დასაქმების ხელშეწყობა;
- სოციალური სერვისები;
- მოწყვლადი რეგიონების/დასახლებული პუნქტების განვითარება;
- გარემოსდაცვა;
- სოციალური ინოვაციები;
- სხვა სფეროები, როგორებიცაა განათლება, კულტურისა და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა, მეცნიერება.

ინდივიდებისთვის სოციალური საწარმო შეიძლება იქცეს სოციალური ინკლუზიის მექანიზმად, რაც მათ დაეხმარება დამოკიდებული მდგომარეობიდან განთავისუფლებაში და დამოუკიდებლობის მოპოვების რეალურ შანსს მისცემს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის სოციალური საწარმო არსებობისთვის საჭირო რესურსების გენერირების ეფექტური მექანიზმია, რაც უზრუნველყოფს სხვა ინსტიტუტებზე დამოკიდებულებისგან თავის დაღწევის და სექტორში ოპერირებისას მხოლოდ საკუთარი წევრებისა და დამფუძნებლების თვალსაზრისის გათვალისწინების საშუალებას.

თემისთვის სოციალური საწარმო წარმოადგენს დამოუკიდებელი განვითარების სტრატეგიას, დაფუძნებულს მხოლოდ საკუთარ რესურსზე, რასაც შემდეგ მოაქვს ჭეშმარიტი თვითრეგულირება და საერთო კეთილდღეობა.

სახელმიწფოსთვის კი სოციალური საწარმო წარმოადგენს „სოციალური უზრუნველყოფის მახიდან“ თავის დაღწევის რეალურ გზას.

სოციალური საწარმოების სოციალური მიზნების სპექტრი მრავალფეროვანია. განვიხილოთ თითოეული მათგანი და პრაქტიკული მაგალითი.

- ***დასაქმების ხელშეწყობა***
  დასაქმების ხელშემწყობ სოციალურ საწარმოებს სხვაგვარად „შრომითი ინტეგრაციის სოციალურ საწარმოებს“ ეძახიან. მსგავსი მიზნის მქონე საწარმოები ასაქმებენ რისკის ქვეშ მყოფ, მარგინალურ ან დაბალშემოსავლიან მოსახლეობას, სწორედ ამით გამოირჩევიან ისინი ჩვეულებრივი კომპანიებისგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოები დასაქმების შესაძლებლობას ქმნიან ისეთი ადამიანებისთვის, რომლებიც დასაქმების ბაზარზე შესვლის ბარიერებს აწყდებიან განსხვავებული მიზეზების გამო, და, შესაბამისად, პასუხობენ სოციალური გარიყულობის პრობლემას.
  დასაქმების ხელშემწყობი სოციალური საწარმოების მიზანია გარკვეული ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. ეს ჯგუფები შეიძლება იყვნენ:
  - იძულებით გადაადგილებული პირები და მიგრანტები;
  - დამოკიდებულებების (წამალდამოკიდებულება, ალკოჰოლდამო-კიდებულება, ა.შ.) მქონე პირები;
  - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
  - კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები;
  - მზრუნველობამოკლებული, სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები, ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე ადამიანები;

- სხვა გარემოებების გამო იმ ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც დასაქმება არსებული სტიგმის ან სტერეოტიპის გამო, ან სამუშაო უნარების სიმწირის გამო უჭირთ.

აქედან გამომდინარე, შრომითი ინტეგრაციის სოციალურ საწარმოებს აქვთ ორი ძირითადი მიმართულება:

- ინკლუზიური დასაქმება - რაც გულისხმობს მოწყვლადი ან მარგინალიზებული ჯგუფის ადამიანებისთვის დასაქმების შესაძლებლობაზე წვდომის გაზრდას;
- უნარების განვითარება - კონკრეტულ სფეროში სამუშაო უნარების განვითარება მენტორინგის, ტრენინგების და პრაქტიკული სამუშაოს განხორციელების მექანიზმებით.

დასაქმების მიზნის მქონე სოციალური საწარმოების დასაქმების მოდელი ორ მსხვილ ჯგუფად შეიძლება წარმოვადგინოთ, ესენია:

- **ტრანზიტული დასაქმება** - რაც გულისხმობს მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლისთვის დროებითი დასაქმების შესაძლებლობის მიცემას ერთი სფეროს ერთ ან რამდენიმე კომპონენტში. ეს დასაქმებულს შესაძლებლობას აძლევს განივითაროს კონკრეტულ სფეროში საჭირო სამუშაო უნარები. ერთი მხრივ, ტრანზიტული დასაქმება მოიცავს უნარების გაძლიერებას და ტრენინგებს და, მეორე მხრივ, პრაქტიკულ გამოცდილებას სამუშაო ადგილზე. მაგალითად, მასპინძლობის ინდუსტრიაში მოქმედმა სოციალურმა საწარმომ, რომელიც მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფის წევრებისთვის ტრანზიტული დასაქმების შეთავაზებას, შესაძლოა განავითაროს თეორიული ტრენინგ-კურსები და ვორქშოფების ციკლი, სადაც ინდივიდი ინფორმაციას მიიღებს მასპინძლობის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ განსხვავებულ ასპექტებზე (ოთახების დალაგება, სტუმრების მომსახურება, სატელეფონო კომუნიკაცია, ღონისძიებების ორგანიზება და ა.შ.), ხოლო, შემდგომ, განვითარებული უნარების მქონე ინდივიდს უნარების პრაქტიკაში განხორციელებაში დაუჭიროს მხარი 6-12 თვიანი ანაზღაურებადი პრაქტიკით. ტრანზიტული დასაქმების საბოლოო მიზანი მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის ტრადიციული დასაქმების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის ზრდაა. ანუ, გადამზადებული და პრაქტიკაგავლილი ინდივიდისთვის იმავე სფეროს ტრადიციულ სამუშაო ადგილზე დასაქმების გამარტივება.
- **მდგრადი, ხანგრძლივვადიანი დასაქმება** - ტრანზიტული დასაქმებისგან განსხვავებით, სოციალურ საწარმოში ხანგრძლივად დასაქმებული პირი საქმდება იმ პოზიციაზე, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება მის უკვე არსებულ, ან საწარმოს გადამზადების კურსების შედეგად განვითარებულ უნარებს. მდგრადი დასაქმების მექანიზმი მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ პირს სტაბილურ დასაქმებაზე უზრდის ხელმისაწვდომობას, სადაც, მას ასევე კარიერული განვითარების დაგეგმვაში უჭერენ მხარს. არის შემთხვევები, როდესაც სტაბილურ პოზიციაზე დასაქმებული პირი კარიერული ზრდის მიზეზით სხვა კომპანიის ან ორგანიზაციის გუნდს შეერთებია. მდგრადი დასაქმების მოდელის მქონე სოციალური საწარმოები, როგორც წესი, ბიზნეს მოდელს და პროდუქციის საწარმოო ან სერვისის მიწოდების ხაზს კონკრეტულ ჯგუფს არგებენ, რომელთა დასაქმების მიზნითაც იქმნება საწარმო.

მაგალითად, აუტისტური სპექტრის მქონე პირებისთვის იმგვარი სოციალური საწარმოს ბიზნეს მოდელი, რომელიც ხელნაკეთი პროდუქციის შექმნას და მის რეალიზაციას ახორციელებს მსგავსი ტიპის მქონე ადამიანებისთვის დასაქმების შესაძლებლობების გასაზრდელად.

ევროპაში დასაქმების ხელშემწყობი, შრომითი ინტეგრაციის მიზნის მქონე სოციალური საწარმოების ხელშეწყობა პრიორიტეტული მიმართულებაა. მაგალითად ირლანდიის სახელმწიფოს ინსტიტუციური ერთეულის, „სამართლიანობისა და თანასწორობის დეპარტამენტის“ მიერ 2016 წელს შემუშავებულ იქნა „ახალი გზა წინსვლისთვის - სოციალური მეწარმეობის სტრატეგია 2017-2019“ ("'A New Way Forward' Social Enterprise Strategy 2017-2019,"), რომელიც მიზნად ისახავს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციას მათი დასაქმების ხელშემწყობი სოციალური საწარმოების დაარსებისა და არსებულებთან თანამშრომლობის გზით.

დასაქმების ხელშეწყობა - სოციალური საწარმო „ბაბალე“

2015 წელს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობელთა გაერთიანებამ, სოციალური მეწარმეობა 10 000 ლარის გრანტის ფარგლებში დაიწყო, რაც თავდაპირველად პროექტის სახით ფუნქციონირებდა. 2018 წლის ივლისის თვიდან კი არსებობს, როგორც „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის" შპს "სოციალური საწარმო ბაბალე“. საწარმოს 100%-იანი მფლობელი თავად დამფუძნებელი ორგანიზაციაა. ბაბალეს საწარმოო ხაზი სწორედ იმ სამიზნე ჯგუფის შესაძლებლობებზე იქნა მორგებული, რომლის დასაქმების შესაძლებლობების ზრდის მიზანსაც ისახავს საწარმო მიზნად.

ბაბალე აერთიანებს ორ სივრცეს:

- ***შემოქმედებით სახელოსნოს,*** სადაც განსაკუთრებული საჭროების მქონე ახალგაზრდები სპეციალური მეთოდოლოგიის გამოყენებით იღებენ განათლებას, საქმდებიან, ქმნიან პროდუქციას და
- ***სალონს,*** სადაც გამოიფინება და იყიდება ნამუშევრები.

სოციალურ საწარმოში მზადდება ხის, ტექსტილის და კერამიკის როგორც დეკორატიული, ისე გამოყენებითი ნივთები: ხის ზარდახშები, საკანცელარიო ნივთები, ჩანთები, სამზარეულოს აქსესუარები, სადღესასწაულო ნივთები, სხვადასხვა ფიგურები, მაგ: ნაძვისხეები, ანგელოზები, ნაძვისხის სათამაშოები, ცხოველების ფიგურები და სხვა.

ბაბალემ საქმიანობის ხაზი კიდევ უფრო მეტად გააფართოვა და შექმნა ბრენდი „ბაბალეს წინდა“, რომელიც ბაბალეს ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი ხაზია და გულისხმობს სხვადასხვა განვითარების საჭიროების მქონე პირის მიერ შექმნილი ნახატების დატანას წინდებზე და მის რეალიზაციას.

ბაბალემ 2023 წელს დამატებით გააფართოვა საწარმოო ხაზი და მიიღო საწარმოს განვითარების გრანტი, რომლის საშუალებითაც შეძენილ იქნა თიხაზე სამუშაო აპარატურა და მოწესრიგდა დამატებითი სივრცე - კერამიკის სახელოსნო.

ბაბალეს დასაქმების მოდელი სამ მნიშვნელოვან ეტაპს მოიცავს, ესენია:

- მოსამზადებელი ეტაპი;
- სტაჟირება;
- დასაქმება.

ამჟამად ბაბალეში მუდმივად დასაქმებულია 9 პირი (მათგან 5 შშმ ახალგაზრდა), თუმცა, კორპორატიული შეკვეთების შემთხვევაში დასაქმებულთა რაოდენობა 20-მდე იზრდება. კერამიკის სახელოსნოს გახსნის შედეგად,

- შეიქმნება გამართული, დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული არტთერაპიის, პროფორიენტაციისა და მხარდაჭერითი დასაქმების პროგრამები;
- არტთერაპიისა და პროფორიენტაციის პროგრამებს გაივლის 30 დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდა;
- სტაჟირების პროგრამას გაივლის 20 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ახალგაზრდა;
- ბაბალეში დამატებით დასაქმდება 5 დსმ ახალგაზრდა, ხოლო ბაბალეს გარეთ - 10 ახალგაზრდა;
- გაიზრდება დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდების მზაობა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

ბაბალეს მოგება ხმარდება ბაბალესა და ასოციაციის სოციალურ მიზნებს, ასევე რეინვესტირედება საწარმოს ფუნქციონირების გაუმჯობესებისთვის. საწარმო თვითშენახვადია - მისი შემოსავლები ფარავს ყველა დანახარჯს.

საქართველოშიც აქტიურად გვხვდება წარმატებული სოციალური საწარმოები, რომლებიც ეფექტურად ახდენენ ისეთი ჯგუფების ინკლუზიას, როგორებიცაა წამალდამოკიდებული და რეაბილიტაციის პროცესში მყოფი ადამიანები, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ბაზარზე არაკონკურენტული პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირები და ა.შ.

- ***სოციალური სერვისები***

სოციალური სერვისები კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული სერვისებია, რომლებიც მიეწოდება სამიზნე ჯგუფებს (Hoppe 2015).

სოციალური სერვისები შეიძლება მიწოდებული იქნეს სახელმწიფო ინსტიტუციების, კერძო, მომგებიანი და საზოგადოებრივი სექტორების მიერ. ამ ტიპის სერვისების მიწოდების მთავარი არსი საზოგადოების წევრებისთვის შესაძლებლობების თანაბრობის უზრუნველყოფაშია.

საქართველოში, სოციალური სერვისების მიმწოდებელი სოციალური საწარმოები სამიზნე ჯგუფებისთვის უზრუნველყოფენ მრავალფეროვან მომსახურებას, როგორიცაა ხანდაზმულთა შინმოვლა, 24-საათიანი ზრუნვის სერვისები მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მუსიკალური თერაპია, ადრეული განვითარების სერვისები 7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის და სხვა.

ამ ტიპის სოციალური საწარმოების სერვისების შემსყიდველი ხშირად არის სახელისუფლებო ორგანოები, მათ შორის ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. სერვისის მიმწოდებელი წარმატებული სოციალური საწარმოები ეფექტურად ახდენენ დაფინანსების სხვადასხვა წყაროებიდან თანხების მოზიდვას და როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსების მობილიზებას. ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდებას და, მეორე მხრივ, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას.

სოციალური სერვისები - სან პატრიანო

1978 წელს, იტალიაში, ყოფილი წამალდამოკიდებული პირების მიერ დაფუძნდა სოციალური სერვისების მიმწოდებელი საწარმო „სან პატრიანო (San Patrignano)". სან პატრიანოს მისია დამოკიდებულებებთან ბრძოლაა, და დამოკიდებულებების მქონე პირების საზოგადოებაში სრულყოფილი რესოციალიზაციაა.

სან პატრიანოს მიდგომა ეფუძნება რამდენიმე ძირითად ფასეულობას, ესენია:

- თემი, როგორც თერაპია - მხარდამჭერი და სტრუქტურირებული მიდგომა წამალ და ალკოჰოლდამოკიდებულთა თემის წევრების მიერ. მიდგომა ეფუძნება ორმხრივ მხარდაჭერას და გულისხმობს დამოკიდებულება დაძლეული პირების მიერ დამოკიდებულების მქონე პირების გაძლიერებას, მხარდაჭერას, და თერაპიული სერვისების შეთავაზებას.
- რეაბილიტაცია უნარების განვითარების გზით - შრომითი თერაპია - სან პატრიანოს მიდგომა ასევე ეფუძნება შრომითი თერაპიის გზით დამოკიდებულების დაძლევას. სერვისის მიმღები პირები ჩართულები არიან სხვადასხვა ტიპის შრომითი თერაპიის აქტივობებში.
- თვითდაფინანსება - სან პატრიანოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფასეულობაა ის, რომ იყოს მის შემოსავლებზე დამოკიდებული, სწორედ ამიტომ, სოციალური სერვისები მიმწოდებელმა ამ დაწესებულებამ დაიწყო სხვადასხვა ტიპის პროდუქციის წარმოება და სერვისის მიწოდება, რათა მოახდინოს ფინანსური სახსრების მობილიზება და უფრო მაღალი ხარისხის სერვისი შესთავაზოს მიმღებ პირებს.
- სოციალური სერვისის უფასო მიწოდება მისი მიმღებისთვის - სან პატრიანოში სოციალური სერვისით მოსარგებლეები სერვისში არ იხდიან არანაირ გადასახადს. ამის სანაცვლოდ, ისინი ერთვებიან საწარმოო პროცესში, რომლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალიც ხმარდებას სოციალური საწარმოს განვითარებას და მისი სერვისით მოსარგებლეთა უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნას.

ამჟამად, სან პატრიანოს სერვისით მოსარგებლეებისთვის სოციალური საწარმო არის:

- სადღეღამისო თავშესაფარი (მათ შორის - ციხის ალტერნატივა);
- ხელობის სწავლების სივრცე;
- ოჯახის წევრებთან ერთად თანაცხოვრების შესაძლებლობა (მათ შორის სკოლის დამთავრების შესაძლებლობა მოზარდებისთვის);
- სივრცე შრომითი და სპორტის თერაპიისთვის.

სან პატრიანოში ამჟამად 1400-მდე სერვისით მოსარგებლე ცხოვრობს. ისინი უფასოდ იღებენ სერვისს და, სანაცვლოდ, ერთვებიან საწარმოს მიერ პროდუქციის დამზადების/რეალიზაციის და სერვისის მიწოდების პროცესში. საწარმო ეკონომიკურ შემოსავლებს, შემორიწულობების პარალელურად, აგენერირებს ისეთი ეკონომიკური აქტივობებით, როგორებიცაა:

- საკვების და ღვინის წარმოება;
- გრაფიკული დიზაინის სერვისების მიწოდება;
- ძაღლებისა და ცხენების მოვლა სან პატრიანოს დასახლებაში მცხოვრები ადგილობრივი ოჯახებისთვის;
- ყვავილების სათბური და მისი რეალიზაცია.

სან პატრიანოს გუნდი დაახლოებით 320 მუდმივი თანამშრომლისგან და 100-ზე მეტი მოხალისისგან შედგება.

- ***მოწყვლადი რეგიონების/დასახლებული პუნქტების განვითარება***

  ქვეყანაში შიდა მიგრაციული პროცესების განვითარება, ხშირად, ხელს უწყობს კონკრეტული რეგიონების/დასახლებული პუნქტების მცხოვრებთათვის შემოსავლების წყაროების უქონლობას ან/და ეკონომიკური აქტივობების განხორციელების შეუძლებლობას.

  აღნიშნულის გამო, ასეთ მოწყვლად რეგიონებში დასახლებულები შეიძლება განვიხილოთ ნაკლებად მომგებიან მდგომარეობაში მყოფი ჯგუფის წევრებად. მათთვის ეკონომიკური შემოსავლების წყაროების შექმნა და განვითარება კი სოციალური საწარმოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შეიძლება იყოს.

რეგიონების განვითარება - სოციალური საწარმო გუმბათი

სოციალური საწარმო „გუმბათი“ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბათში 2016 წელს დაარსებული საწარმოა, რომლის მიზანიც წალკის რაიონში მცხოვრები, ენობრივი ბარიერის მქონე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში ქართული ენის პოპულარიზაცია, ინტეგრაციის ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაა.

გუმბათი წარმოადგენს ბიბლიოთეკას, დასაქმების შესაძლებლობას ადგილობრივებისთვის, სასწავლო ცენტრს, შეხვედრებისა და ღონისძიებების ორგანიზების სივრცეს ადგილობრივებისთვის.

სოფელი გუმბათი ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, შესაბამისად, ადგილზე არსებობდა დაპირისპირების ისტორიული შემთხვევები, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, ენის ბარიერით იყო გამოწვეული.

საწარმო ადგილობრივებს სთავაზობს ფასიან მოსამზადებელ კურსებს სხვადასხვა საუნივერსიტეტო საგნებში, მიღებული შემოსავლებით კი ფარავს ღონისძიებების ორგანიზების ხარჯს, და უფასო ქართული ენის კურსებს ადგილობრივებისთვის. შედეგად, არსებობის მანძილზე საწარმომ გადაამზადა 90 აბიტურიენტი, რომელთაგან 80 ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში, ორგანიზება გაუკეთა 500-ზე მეტ ღონისძიებას, სადაც წალკის მუნიციპალიტეტის 10 სოფლიდან მიიღეს ახალგაზრდებმა მონაწილეობა.

- ***გარემოსდაცვა***

  გარემოსდაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები უფრო და უფრო მეტ აქტუალობას იძენს, რამდენადაც ბიომრავალფეროვნებასთან, მზარდი ნარჩენების წარმოქმნასთან, კლიმატის ცვლილებებთან, გაუდაბნოებასთან და ზოგადად, დაბინძურებასთან (მათ შორის წყლის, ჰაერის) დაკავშირებული საკითხები მეტად პრობლემურია. პრობლემის მიზეზი ერთი მხრივ რესურსების არასწორი მართვა, მეორე მხრივ კი ისეთი არაბიოდეგრადირებადი მასალების წარმოების ზრდაა, რაც გარემოში წლობით რჩება და მომავალ თაობებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების შანსებს უმცირებს.

ამ გამოწვევის საპასუხოდ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად დგამს ნაბიჯებს, სოციალური საწარმოები კი ცდილობენ ისეთი ბიზნეს მექანიზმების განვითარებას, რომელიც გარემოსდაცვით გამოწვევებს უპასუხებს.

გარემოსდაცვა - სოციალური საწარმო ტენე

„ტენეს“ შექმნის იდეა 2017 წელს გაჩნდა და ის საქართველოში პირველი ეკოდამზოგავი USB კაბელის მწარმოებელი სოციალური საწარმოა. ტენეს მისიაა გარემოს პლასტმასით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა და გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. ტენე კაბელის წარმოების პროცესში ერთჯერადი მოხმარების მეორად პლასტმასას იყენებს.

USB კაბელების წარმოებასთან ერთად ტენე მუდმივად მუშაობს გარემოს დაცვის ხელშემწყობი ინოვაციური პროდუქტების განვითარებაზე, როგორებიცაა მაგალითად, პლასტმასას ჭიქების შემგროვებელი და ბოთლიყლაპია აპარატების შექმნა და ქართულ კონტექსტზე მორგება, ეკომეგობრული ტელეფონის სამაგრების განვითარება და ა.შ

ტენეს მიზანი მომდევნო 5 წელიწადში 1000 ტონა პალსტმასას შეგროვება და გადამუშავებაა.

გარდა გარემოსდაცვითი მისიისა, ტენეს წარმოების პროცესში დასაქმებული ჰყავს იძულებით გადაადგილებული პირები.

- ***სოციალური ინოვაციები***

  სოციალური ინოვაცია გულისხმობს ახალი გადაწყვეტილებების შემუშავებისა და განხორციელების პროცესს სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადასაჭრელად. ის გულისხმობს ინოვაციური იდეების, პროდუქტების, სერვისების ან მოდელების შექმნას და გამოყენებას, რაც იწვევს პოზიტიურ სოციალურ გავლენას. სოციალური ინოვაცია მიზნად ისახავს გაზარდოს ინდივიდებისა და საზოგადოების ჯგუფების კეთილდღეობა ახალი მიდგომების დანერგვით, რომლებიც ეხება ისეთ მწვავე საკითხებს, როგორიცაა სიღარიბე, უთანასწორობა, განათლება, ჯანდაცვა, გარემოს მდგრადობა და სხვა.

  სოციალური ინოვაცია ხშირად გულისხმობს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას, მათ შორის ბიზნესს, არაკომერციულ ორგანიზაციებს, სამთავრობო უწყებებსა და აკადემიურ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობას. მრავალფეროვანი პერსპექტივების ჩართვა გადამწყვეტია ეფექტური გადაწყვეტილებების გამოსავლენად.

.

სოციალური ინოვაცია - აპოპო (APOPO)

აპოპო არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის სოციალური საწარმო, რომელიც სპეციალიზირებულია ჰუმანიტარული მიზნებისთვის ვირთაგვების, კონკრეტულად აფრიკული გიგანტური ვირთაგვების გადამზადებაში. აპოპოს ვირთაგვები გაწვრთნილი არიან ნაღმების აღმოსაჩენად და სამედიცინო ნიმუშებში ტუბერკულოზის გამოსავლენად.

აპოპოს ინოვაციურობა მდგომარეობს მის მიერ ვირთაგვების ისეთი რესურსის ათვისებაში, რაც აპოპოს შექმნამდე არ იყო პრაქტიკაში ათვისებული. კერძოდ, აპოპო ამზადებს ვირთხებს, რათა მათ შეძლონ და აღმოაჩინონ ნაღმები. გაწვრთნის პროცესში ვირთაგვებს ასწავლიან ასაფეთქებელი ნივთიერებების სურნელის ამოცნობას, რათა მათ ზუსტად განსაზღვრონ ნაღმების მდებარეობა კონკრეტულ ტერიტორიაზე. ეს ინოვაციური მიდგომა ეხმარება განაღმვის პროცესს, რაც მას უფრო უსაფრთხოს და ეფექტურს ხდის სახმელეთო ნაღმებით დაზარალებულ რეგიონებში.

60 ქვეყანა მსოფლიოში ჯერ კიდევ განიცდის ნაღმისგან მიყენებულ ზიანს, რომელიც კონფლიქტის პერიოდში იქნა განთავსებული. აპოპო ახდენს ასეთი ტერიტორიების სკანირებას, შემდგომ კი ძველი ნაღმების განეიტრალებას და უბრუნებს ტერიტორიებს ადგილობრივ თემს. აპოპო ამ პროცესში ასაქმებს 224 ადამიანს.

საწარმოს ჰყავს 115 გაწვრთნილი ვირთაგვა, რომელთაც საწარმოს არსებობის მანძილზე 155 000-ზე ნაღმი აღმოაჩინეს, რომელიც შემდგომ გაანეიტრალეს პროფესიონალებმა. შედეგად, 87 000 000-ზე მეტი კვადრატული მეტრი მიწა გახდა საცხოვრებლად უსაფრთხო და დაუბრუნდა საზოგადოებას. აპოპო ამჟამად 9 ქვეყანაში მუშაობს, მათ შორის, აპოპოს ვირთაგვები ყარაბაღის ომის შემდგომ აზერბაიჯანშიც გამოჩნდნენ.

სოციალური მეწარმეობა - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის მდგრადობის მიღწევის ერთ-ერთი გზა

სოციალური მეწარმეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმატებისათვის, რადგან, დღესდღეობით, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის სულ უფრო და უფრო ძლიერი ხდება კონკურენცია დონორთა და მხარდამჭერთა შემოწირულობების, კონტრაქტებისა და გრანტების მოსაპოვებლად და უფრო მეტიც, კვალიფიციური თანამშრომლებისა და მოხალისეების მოსაზიდად.

დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნების მიზნით შემოსავლის მომტან საქმიანობას საქართველოში ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციები 1990-იანი წლებიდან ეწევიან, თუმცა ეკონომიკური საქმიანობის დაწყების შემთხვევებმა საგრძნობლად მოიმატა 2005 წლის შემდეგ (CSRDG 2010).

ორგანიზაციათა დიდი უმეტესობისათვის ეკონომიკური საქმიანობის წამოწყების ძირითადი მოტივი, ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის მიღწევაა, თუმცა, საზოგადოებრივ

ორგანიზაციათა დიდი ნაწილისათვის მამოტივირებელი ფაქტორი საკმაოდ ხშირად, პროგრამული საქმიანობის განხორციელება და მიზნების უფრო ეფექტურად მიღწევაა, რადგან ხშირად, ორგანიზაციის კონკრეტული პროგრამული მიზნები დონორების პრიორიტეტებში არ ჯდება და რთულია დაფინანსების მოპოვება ამ წყაროდან.

ჩვეულებრივ, წარმატებული ბიზნესორგანიზაციები თავიანთ საქმიანობაში გამოდიან ბაზრის მოთხოვნებიდან. მათ ყოველდღიური შეხება აქვთ მომხმარებელთან, განსაზღვრული აქვთ თავიანთი ბაზარი, ამოწმებენ მოთხოვნას და ახდენენ პროდუქციის ადაპტირებას მასთან, ეყრდნობიან საკუთარ კომპეტენციებს, იციან, ვინ არიან მათი კონკურენტები ბაზარზე და ფლობენ მათ შესახებ ინფორმაციას. ისინი ფოკუსირებული არიან მომხმარებელთა კმაყოფილებაზე და ზრუნავენ ამისთვის.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანია, რომ საქმიანობაში ბიზნესის ანალოგიურ მიდგომებს იყენებდნენ. მათ მიმართ მუდმივად მატულობს მოლოდინი და მოთხოვნა, რომ მიიღონ მეტი შედეგი, მოახდინონ ანგარიშგება საზოგადოებასთან, დონორებთან თუ ხელისუფლებასთან.

დონორების მხრიდან ამ ტიპის ინიციატივების დაფინანსება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა ბოლო წლების განმავლობაში. მიუხედავად იმ დიდი რისკისა, რაც სოციალური საწარმოს დაარსებას მოჰყვება, დონორები მიიჩნევენ, რომ ასეთი ინიციატივები წარმოადგენს ახლებურ მიდგომას, საბაზრო სტრატეგიებით და ინკლუზიური საქმიანობით შემოსავლის მოტანის შესაძლებლობას საზოგადოებრივი ორგანიზაციისთვის.

სოციალური მეწარმეობა მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ორგანიზიციებისთვის, რამდენადაც:

- ის იძლევა შესაძლებლობას ახლებურად და უფრო ეფექტურად მოგვარდეს პრობლემები;
- ფონდების მოძიების სულ უფრო მზარდი კონკურენციის პირობებში სოციალური საწარმოები ქმნიან რესურსებს ორგანიზაციის მდგრადი განვითარებისთვის;
- ხშირად, დონორების მოთხოვნების მიხედვით, მათგან დაფინანსების მოსაპოვებლად საჭიროა თანადაფინანსების უზრუნველყოფა. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ორგანიზაციას აძლევს შესაძლებლობას უზრუნველყოს ეს წვლილი;
- ეკონომიკური შემოსავალი ორგანიზაციას აძლევს სტაბილურობის განცდას: საგრანტო დაფინანსების წყვეტის შემთხვევაში ორგანიზაციას აძლევს ძირითადი ხარჯების დაფინანსების შესაძლებლობას;
- გამომუშავებული შემოსავალი პროგრამებს სძენს მეტ მოქნილობას და წარმოადგენს ახალ პროგრამებში ინვესტირების წყაროს შეზღუდვების გარეშე. ის აძლევს ორგანიზაციას საშუალებას დააფინანსოს საკუთარი ინიციატივები, რომლებიც არ ჯდება მოქმედ დონორთა პრიორიტეტებში;
- ეხმარება ორგანიზაციებს, უფრო მეტად დარჩნენ მისიაზე ორიენტირებულნი და არ მოუხდეთ მიმართულებების მუდმივად ცვლა დონორთა მოთხოვნების შესაბამისად;

დაბოლოს, ხშირად, ამ საქმიანობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ორგანიზაციის წარმოჩენაში.

კითხვები თვითგამეორებისთვის:

- რომელ განზომილებებს აერთიანებს სოციალური საწარმო?
- რამდენი კრიტერიუმია განვითარებული „ევროპის კვლევითი კავშირის“ მიერ სოციალური საწარმოს საქმიანობის იდენტიფიცირებისათვის?
- რა ძირითადი როლები შეიძლება ჰქონდეთ სოციალურ საწარმოებს საზოგადოებაში?
- არის თუ არა სოციალური საწარმო მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის და რატომ?

სიტუაციური ამოცანა - არის თუ არა სოციალური საწარმო?

გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ მოცემულ ტექსტებს, და თითოეულ ტექსტზე დაყრდნობით უპასუხოთ შეკითხვას, წარმოადგენს აღნიშნული სოციალურ საწარმოს, მხოლოდ საზოგადოებრივ ორგანიზაციას (რომელიც დამხმარე ეკონომიკური საქმიანობით არის დაკავებული) თუ ბიზნეს ოპერატორს (კომპანიას). დასაბუთებისას დაეყრდენით სასწავლო კურსით გათვალისწინებული „სოციალური მეწარმეობის/საწარმოების“ კრიტერიუმებს, რომელიც დაგეხმარებათ საქმიანობის ფორმის იდენტიფიცირებაში. გაითვალისწინეთ, რომ თითოეულ სიტუაციურ ამოცანას შეესაბამება მხოლოდ ერთი ფორმა (სოციალური საწარმო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან ბიზნეს ოპერატორი (კომპანია)).

სატელეკომუნიკაციო სერვისი

იურიდიული პირის "სატელეკომუნიკაციო სერვისი" მიერ, რომელიც 2010 წელს დაფუძნდა ქვეყანაში, ხდება ტელეკომუნიკაციასთან დაკავშირებული სერვისების მიწოდება მაღალმთიანი მოსახლეობისათვის. მაღალმთიანი სოფლის სტატუსი 40 მუნიციპალიტეტის 1582 სოფელს აქვს მინიჭებული. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნულ სოფლებს არ ჰქონდათ სატელეფონო მომსახურებაზე წვდომა, "სატელეკომუნიკაციო სერვისმა" შეიმუშავა მათზე მორგებული ეკონომიკური პაკეტები და არსებობის მანძილზე 1200 სოფლის 4000-მდე მოსახლე მოიცვა.

"სატელეკომუნიკაციო სერვისის" მიზანია რაც შეიძლება მეტ პირს, რომელიც მაღალმთიან სოფელში ცხოვრობს, მიაწოდოს სერვისი. მომხმარებელთა ბაზრის გასაფართოვებლად, "სატელეკომუნიკაციო სერვისმა" მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებებს, რათა მათ ხელი შეეწყოთ სოფლებიდან ქალაქად გადასული ადგილობრივი მოსახლეობის მაღალმთიან სოფლებში დაბრუნებას. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, უახლოესი 5 წლის მანძილზე, მაღალმთიან სოფელში დაბრუნებულთა ზრდის მოლოდინია 15000 მოქალაქე, რაც, სამომხმარებლო ბაზრის მინიმუმ 50%-იანი ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელს ქმნის "სატელეკომუნიკაციო სერვისისთვის".

"სატელეფონო სერვისი" მაღალი პასუხისმგებლობით გამოირჩევა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად ერთვება დამფუძნებელთა ჯგუფის 5 წევრი, ხოლო მოგების შეზღუდული წილი სოციალური პროექტების დაფინანსებას ხმარდება.

ეს მაგალითი არის:

- სოციალური საწარმო
- საზოგადოებრივი ორგანიზაცია
- კომპანია

ეტლების წარმოება

ეტლების მწარმოებელი იურიდიული პირი დაფუძნდა 2009 წელს ერთ-ერთი კოალიციის (საზოგადოებრივი ორგანიზაცის) ქვეერთეულის სახით. კოალიცია აერთიანებს შეზღუდული შესაძლებლობის ყველა კატეგორიაზე მომუშავე ორგანიზაციას და ამჟამად მის შემადგენლობაშია 28 არასამთავრობო ორგანიზაცია.

გადამზადებული პერსონალი აწარმოებს ეტლებს, მანქანის ხელით სამართავ სისტემებსა და სხვადასხვა ზომის, პორტატულ და ელექტრო პანდუსებს. კოალიციის მიზანია თანაბარი გარემო–პირობების შექმნის გზით ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურ პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის ხელშეწყობა.

აღნიშნული მიზანი ვრცელდება კოალიციის ყველა ქვეერთეულზე. კონკრეტულად, ეტლების წარმოება მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (ეტლით მოსარგებლე) პირების დასაქმებას, მათ რესოციალიზაციასა და ეტლების დამზადებას ყველა ასაკის, დიაგნოზის და საჭიროების მქონე პირისთვის. ეტლების წარმოების პროცესში დასაქმებულია 16 ადამიანი, მათგან 10 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია; ეტლების წარმოებისას თვეში 1500-ზე მეტი აქტიური ტიპის სპეციალურ ეტლს და შშმ პირებზე ინდივიდუალურად მორგებული პროდუქციის წარმოება ხდება. ეტლების წარმოება მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობაა, მოგება კი სრულად ხმარდება კოალიციის მიზნების მიღწევას.

ეს მაგალითი არის:

- სოციალური საწარმო
- საზოგადოებრივი ორგანიზაცია
- კომპანია

ბიბლიოგრაფია

"'A New Way Forward' Social Enterprise Strategy 2017-2019." n.d.

Chahine, Teresa. 2016. *Introduction to Social Entrepreneurship*. Boca Raton, FL: CRC Press, Taylor & Francis Group.

CSRDG. 2010. "საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოში - განვითარების დინამიკა და ტენდენციები." კვლევის ანგარიში. თბილისი. https://www.segeorgia.org/storage/files/doc/CSO%202010.pdf.

CSRDG. 2019. "სოციალური მეწარმეობის სახელმძღვანელო", მესამე გამოცემა. თბილისი. https://www.segeorgia.org/storage/files/doc/Manual%202018.pdf

Defourny, Jacques. 2014. *From Third Sector to Social Enterprise: A European Research Trajectory*. https://www.researchgate.net/publication/295390255_From_third_sector_to_social_enterprise_A_European_research_trajectory.

European Commission. 2013. *Social Economy and Social Entrepreneurship.* Vol. 4. LU: Publications Office. https://data.europa.eu/doi/10.2767/79109.

Holyoake, George J. 1893. *The History of the Rochdale Pioneers*. 1st ed. https://doi.org/10.4324/9781315468853.

Hoppe, Julia. 2015. *Social Entrepreneurs as Alternative Providers of Social Services in Germany*. https://essay.utwente.nl/68691/1/Hoppe_BA_MB.pdf.

"Job Creation Throught the Social Economy and Social Entrepreneurship." 2013. OECD. https://www.oecd.org/cfe/leed/130228_Job%20Creation%20throught%20the%20Social%20Economy%20and%20Social%20Entrepreneurship_RC_FINALBIS.pdf.

Myers, Joe. 2016. "World Economic Forum." September 16, 2016. https://www.weforum.org/agenda/2016/09/these-are-the-best-countries-to-be-a-social-entrepreneur/.

Ostapenko, Nikoloz. 2022. "Non-profit taxation in Georgia." Civil Society Institute. https://civilin.org/wp-content/uploads/2022/02/Study_analyzing_the_current_system_of_non-profit-taxation_in_Georgia.pdf.

"Social Enterprise: Market Trends." 2017. In , 1–69. UK Department for Digital, Culture, Media and Sport; UK Department for Business, Energy and Industrial Strategy. https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/644266/MarketTrends2017report_final_sept2017.pdf.